

ლექცია 3

საერთაშორისო მენეჯმენტის ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა

ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა საერთაშორისო მენეჯმენტში

ამ თავში ჩვენ განვიხილავთ ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის ურთიერთმიმართების საკითხებს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ბიზნესს საქმიანობა არ არღვევს სამართლებრივ კოდექსს ან პოლიტიკურ ნორმებს ისინი მაინც შეიძლება აღიქმებოდეს ნეგატიურად. ბევრმა ფირმამ უკვე განიხილა ეთიკური საკითხები საერთაშორისო დონეზე.

თუმცა, როდესაც მცირდება სავაჭრო ბარიერები და იზრდება საერთაშორისო ვაჭრობა, მსოფლიოს კომპანიები უფრო ფართო მაშტაბით დგებიან ეთიკური პრობლემების წინაშე. საერთაშორისო მენეჯერებმა უნდა გაითვალისწინონ იმ ქვეყნების კანონიერი და პოლიტიკური ჩარჩოები, სადაც აწარმოებენ საკუთარ ბიზნესს. ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ბიზნესს საქმიანობა არის კანონიერი ან თუნდაც პოლიტიკურად გამართლებული არ გულისხმობს იმას, რომ მისი განხორციელება დაშვებულია.

არის ბევრი ისეთი სიტუაცია, როცა ქმედება წარმოშობს კერძო საკუთრებასთან დაკავშირებულ, ორგანიზაციულ თუ საზოგადოებრივ პრობლემებს. ფირმებისთვის უკეთესი იქნება თუ ისინი მოიქცევიან საზოგადოებრივად დაშვებულ საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად. ამ ნორმებისადმი კომპანიის საქმიანობის შესაბამისობა გამოიწვევს მომხმარებლის კეთილგანწყობას, მომავალში დაგვეხმარება სამართლებრივი წინამდებლობების თავიდან აცილებაში და საბოლოო ჯამში სარგებელს მოუტონს როგორც საზოგადოებას ასევე კომპანიას.

ყველა ამ საკითხს მივყავართ ჩვენ ეთიკის და ბიზნესზე მის ზეგავლენის სფეროდ.

ჩვენ დავიწყებთ მსჯელობას ეთიკურ ღირებულებებზე. დავადგენთ საზოგადოებრივი თვალსაზრისით რა არის სწორი და არასწორი. შემდეგ განვიხილავთ საზოგადოებაში ინდივიდუალური ქცევის ნორმებს კომპანიის როლს იმ საზოგადოების განვითარებაში, სადაც ის აწარმოებს ბიზნესს. ბევრმა ექსპერტმა მულტიეროვნულ კომპანიებს მოუწოდა, რომ მათ თავიანთ საერთაშორისო ბიზნეს სტრატეგიით შეექმნათ ასეთი საერთაშორისო კორპორაციული პასუხისმგებლობა. არსებობს რამდენიმე ზოგადი წესი, რომლებიც ეხმარება მულტიეროვნულ კომპანიებს ამ მიმართულებით წინსვლაში, ისე რომ მათ განასხვავონ სხვადასხვა ტიპის ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობის კორპორაციული საქციელის მართებულობა.

ძირითადად, ბიზნესის ეთიკის განხილვის თემა მიმართულია უფრო ვიწრო პირად პრობლემებზე, როდესაც საზოგადოებრივი, სოციალური პასუხისმგებლობა ზოგადია, რადგან ის იმართება ფირმის ეთიკური პოზიციიდან გამომდინარე. ბოლო 25 წლის განმავლობაში საერთაშორისო ბიზნესის სფეროში დიდი წინსვლა მოხდა. ამის მიუხედავად ბევრი დღესაც ფიქრობს, რომ ბიზნესის ეთიკის ცნება ბოლომდე არაა დადგენილი და რეალურად მისი პრაქტიკული გამოყენება შეზღუდულია. ბიზნესის ეთიკის საკითხისადმი მიდგომა უფრო რთულდება, როდესაც ჩვენ გადავდივართ ერთი ქვეყნიდან მეორეში.

ფილოსოფია და ბიზნესის ეთიკა

როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ და როგორ უნდა მოიქცნენ სხვები? ეს არის ძირითადი და უკვდავი ფილოსოფიური დილემა, რომლებზეც მეცნიერები საუკუნეებია დაობენ. ამ დავის შედეგად გაირკვა, რომ ამ საკითხზე უამრავი პასუხი არსებობს. ეს ფილოსოფიური დილემა არაა ჩვენი შესწავლის მთავარი საკითხი, ამიტომ მათ ორ მთავარ, უნივერსალიზმისა და რელატივიზმის ასპექტში განვიხილავთ. ეს ორი მიდგომა მიგვანიშნებს საერთაშორისო მენეჯმენტის განსხვავებულ ქცევებზე.

უნივერსალიზმი, როგორც ტერმინი ფართოდ გავრცელებულია, და ყველაზე ზოგადი ფორმით ის მოიცავს იმ საერთო წესებს, რომლებიც მოიცავს მთელ რიგ ქვეყნებს. ამ პოზიციის დამცველები ეთანხმებიან, რომ მიუხედავად თავიანთი ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური წარმოშობისა ყველამ უნდა დაიცვას მორალური კანონები. უნივერსალიზმი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ არსებობს ქცევის ნორმები, რომლებიც მიუღებელია ნებისმიერი კულტურისათვის (მაგალითად, სხვისთვის ან სხვისი ქონებისთვის ზიანის მიყენება).

უნივერსალიზმის დამცველები აღიარებენ, რომ არსებობს ბიზნესის კეთების ზოგადი პრინციპები. მაგალითად, მსოფლიოში ყველა ქვეყანას აქვს კანონები, რომლებიც კრძალავენ მექრთამეობას, ქურდობას, ბიზნესის კონტექსტში გაყალბებას და სხვა. როგორც მოგვიანებით ვნახავთ ყველა ქვეყანა არ მოქმედებს ამ კანონებით და ზოგიერთი მათგანი ირჩევს სხვა გზას. მიუხედავად ამისა, ჩვენი მიზანია ბევრი ადამიანი დარწმუნდეს ამ პრინციპების არსებობაში და ყველა დაემორჩილოს ამ კანონების მოთხოვნებს.

უნივერსალიზმის პრინციპი არ არის სტატიკური ის ვითარდება შესაბამისად ვითარდება ადამიანების მიდგომები ზოგადი კანონებისადმი. უნივერსალიზმების საერთო სტრატეგია გამომდინარეობს იმ პრინციპიდან, რომ აქტიურად განავითაროს ქცევების ის ნორმები, რომლებიც ემსახურება საზოგადოებრივ პროგრესს. ეთიკის ტრანსნაციონალური თუ გლობალური კოდექსი, რომელის მენეჯერებმა უნდა გაითვალისწინონ უნივერსალიზმის გამოხატულებაა.

მაგალითად, უნივერსალიზმის მიმდევრებმა განავითარეს, სიტყვის თავისუფლების, არადისკრიმინაციური მოპყრობის, ფიზიკური უსაფრთხოების უფლებები. ნახაზ 3.1-ში წარმოდგენილია რამდენიმე კარგად ცნობილი გლობალური წესი წარმოდგენილი საერთაშორისო კანონებში. ეს კანონები ეხება ისეთ თემებს, როგორცაა პიროვნების უფლებების, პროდუქციის უსაფრთხოების, გარემოს დაცვის საკითხები, უკანონო გადასახადები და სხვა.

ცხრილი 3.1

საერთაშორისო ბიზნესის ეთიკური ვალდებულები

- ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაცია;
- ეკონომიკის თანამშრომლობის ორგანიზაცია და მულტიეროვნული საწარმოების განვითარების წესები;
- ევროპული კონვენცია;
- ჰელსინკის ფინალური აქტი;
- მულტიეროვნულ საწარმოებთან და საზოგადოებრივ, სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებული მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციის პრინციპთა დეკლარაცია;
- ეკონომიური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულება;
- სამოქალაქო და სახელმწიფო უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულება;

- საერთაშორისო კორპორაციის საწარმოო კოდექსი;
- ევროპული ეკონომიკის საზოგადოების საწარმოო კოდექსი იმ კომპანიებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სამხრეთ აფრიკით.

ეთიკის 7 ძირითადი პრინციპი მულტიეროვნული კომპანიებისათვის

- ❖ მულტიეროვნულმა კომპანიებმა არ უნდა განახორციელონ განძრახი ზიანი;
- ❖ მულტიეროვნულმა კომპანიებმა სხვა ქვეყანაში პროდუქციის წარმოების ზრდით მას არ უნდა მიაყენონ ზიანი;
- ❖ მულტიეროვნული კომპანიების საქმიანობა უნდა დაეხმაროს ამ ქვეყნებს განვითარებაში;
- ❖ მულტიეროვნულმა კომპანიებმა პატივი უნდა სცენ თავიანთ მომუშავეთა პიროვნულ უფლებებს;
- ❖ რამდენადაც ადგილობრივი კულტურა არ არღვევს ეთიკურ ნორმებს, მულტიეროვნულმა კომპანიებმა პატივი უნდა სცენ ადგილობრივი მოსახლეობის კულტურას, საქმიანობა უნდა წარმართონ მათ სასარგებლოდ და არა საწინააღმდეგოდ;
- ❖ მულტიეროვნული კომპანიების მოვალეობაა გადასახადების გადახდა;
- ❖ მულტიეროვნულმა კომპანიებმა უნდა ითანამშრომლონ ადგილობრივ მთავრობასთან, იმისათვის რომ განავითარონ და ზემოქმედება იქონიონ საზოგადოების განვითარებაზე.

ეს კოდექსი შეიცავს 7 ეთიკურ პრინციპს, რომლებიც მულტიეროვნულმა კომპანიებმა უნდა გაითვალისწინონ. ეს პრინციპები მოუწოდებს მათ პატიოსანი ბიზნესისაკენ. ამ პრინციპების რეალიზაციასთან დაკავშირებით პრაქტიკაში წარმოიშვა რამოდენიმე პრობლემა: პირველი, რადგანაც ეს კოდექსი არის ფართო გაგების, მისი ინტერპრეტაცია განსხვავებულია. ამან გამოიწვია შეუსაბამობა სხვადასხვა მულტიეროვნული კომპანიების შეხედულებებს შორის, ისეთ საკითხებში, როგორებიცაა „საუკეთესო სამუშაო პირობები“ და „ადგილობრივ მთავრობასთან ურთიერთობები“ და სხვა. მეორე პრობლემა არის ის, რომ ბევრმა ქვეყანამ ჯერ კიდევ ვერ შეითვისა ყველა ეს ეთიკური ვალდებულებები. მაგალითად, აშშ-ი აშკარად სარგებლობს ბევრი ეთიკური კანონით, მაგრამ ის არ იზიარებს მათ ცალკეულ ასპექტს, ნაწილობრივ ეს გამოწვეულია საშინაო პოლიტიკის ზემოქმედებით. მეორეს მხრივ აშშ-მა მოახდინა სხვადასხვა საერთაშორისო ეთიკური შეთანხმებების რატიფიკაცია. თუმცა ისინი არ არიან გაზიარებული სხვა ქვეყნების მიერ.

რელატივიზმი. კულტურული რელატივიზმი უნივერსალიზმის ალტერნატივაა. მის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ ეთიკური ქცევა ნებისმიერ ქვეყანაში განისაზღვრება ამ ქვეყნის კულტურით, წესებითა და ბიზნესგამოცდილებით.

„რომში იქცევიან ისე, როგორც რომაელები იქცევიან“ ეს ცნობილი ანდაზა ხშირად გამართლებულია. თუ მოიქცევი სხვა კულტურის საპირისპიროდ ეს ნიშნავს იმას, რომ პატივს არ სცემ შენს მასპინძელ ქვეყანას. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო მენეჯერებმა უნდა გაითვალისწინოს იმ ქვეყნის კულტურა, სადაც ისინი წარმართავენ ბიზნესს. მაგალითად, რამდენიმე ხნის წინ ამერიკელი მსახიობი მიშელ ფაიფერი ფილმის გადასაღებად ესტუმრა მოსკოვს. გადაღება უკვე დაწყებული იყო, როცა მან, პროტესტის ნიშნად, უეცრად დატოვა თავისი სამუშაო ადგილი, რადგანაც გაიგო, რომ რუს მუშებს ეკრძალებოდათ იმ საჭმლის მიღება, რომლითაც იკვებებოდნენ უცხოელი მსახიობები. მიშელ ფაიფერმა არ იცოდა, რომ იქ, სადაც მიმდინარეობდა ფილმის გადაღება საკვები ძალიან ძვირი ღირდა. არსებობდა კანონი, რომელიც უკრძალავდა დასავლეთის კინომატოგრაფიულ კომპანიებს გამოეკვებათ რუსი თანამშრომლები, რომელსაც ისინი ქირაობდნენ. ადგილობრივმა მმართველებმა თხოვეს მიშელ ფაიფერს დაბრუნება და აუხსნეს მას, რომ რუსეთში ასეთი კანონი მოქმედებდა. ფაიფერმა განაცხადა, რომ არ

ქონდა მნიშვნელობა ის იყო მართალი თუ არა. ის არასწორად მოიქცა, როცა თავისი ემოციურობა გამოამჟღავნა, როგორც უცხო ქვეყანისა და კულტურის სტუმარმა. ფაიფურის მოქმედება კულტურული რელატივიზმის კარგი მაგალითია.

უამრავი ბიზნეს საქმიანობა ხორციელდება ისეთ ქვეყნებში, სადაც ხდება ამორალური ქმედებები. მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში ბევრი მულტიეროვნული კომპანიის მიერ საკუთარ ინტერესებზე უარის თქმის შემთხვევაში, შესაძლებელი გახდებოდა აპარტეიდის წინააღმდეგ საქმიანობის გაფართოება. ამასთან, მათ ეგონათ, რომ ამ ქვეყნიდან გასვლა მათ მუშაკებს დააკარგვინებდა სამუშაოს და ამით ხელს შეუწყობდა სოციალური დაძაბულობის ზრდას. ასე იქცეოდა „პეპსიკოლა“, როცა ცდილობდა ბიზნესის წამოწყებას ბირმაში, ქვეყანაში, რომელსაც მართავს რეპრესიული სამხედრო რეჟიმი. ადამიანის უფლებების დაცვის საზოგადოების და აშშ-ს მთავრობის ზეგავლენის შედეგად 1997 წელს „პეპსიკოლამ“ გადაწყვიტა დაეხურა თავისი ბიზნესი ამ ქვეყანაში. ამავე წლებში ამ ქვეყანაში დაწესდა საერთაშორისო ეკონომიური სანქციები და ბევრმა სხვა კომპანიმ დატოვა ის. როგორც ამტკიცებს მთავრობის ზეგავლენა „პეპსიკო“-ზე, ფირმებს, რომლებიც ცდილობენ მოიქცნენ რელატივისტურად არ გააჩნიათ თავისუფალი არჩევანი.

ბიზნესის ეთიკის საკითხზე ეროვნებათაშორისო განსხვავებები

უნივერსალური რელატივიზმის შესახებ დებატები წარმოაჩენს იმას, თუ როგორია ქვეყნების აზრთა სხვადასხვაობა, როგორ ფიქრობენ და იყენებენ ისინი ბიზნესში ეთიკური პრინციპებს. აღნიშნული პრობლემის გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ეთიკურ საკითხებთან მიმართებით სხვადასხვა ქვეყნებში არსებობს უამრავი განსხვავებული მიდგომა. მაგალითად: ერთ-ერთი გამოკვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ ამერიკელი მენეჯერები უფრო მეტად იზიარებდნენ ადამიანური ურთიერთობის პრინციპს ბიზნესის ეთიკურ ნორმებში, ვიდრე მათი ავსტრალიელი და გერმანელი პარტნიორები. მეორეს მხრივ, ავსტრალიელი და გერმანელი მენეჯერები უფრო ერეოდნენ ადგილობრივი კომპანიების ეთიკურ პირობებში. ეს ასახავს მათ კულტურულ ფასეულობებს.

ამერიკელები განუსაზღვრელად ინდივიდუალისტები არიან. აქედან გამომდინარე, მათი ინდივიდუალურობა არის მათი ეთიკური ფასეულობების სათავე. გერმანელი და ავსტრალიელები უფრო მეტად იზიარებენ საზოგადოებრივ ორიენტაციას. ფაქტიურად ამ ქვეყნებში ბიზნესის ეთიკა განისაზღვრება, როგორც დამოკიდებულება ბიზნესსა და ადგილობრივ გარემოს შორის. მეორე საინტერესო კვლევა შეეხება აშშ-ს საფრანგეთის და გერმანიის მენეჯერების გაკვლენას რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორზე, ისეთებზე, როგორიცაა უკანონო გადასახადები ინტერესთა კონფლიქტი და გარემოს კავშირი. გამოკვლევების პროცესში ეს საკითხები მენეჯერებს მიეწოდათ მოკლე ფორმის ტექსტის სახით. ერთ-ერთი თემა, რომელიც ტესტის სახით მიეცათ მენეჯერებს შეეხებოდა ქრთამის აღებას. გამოკვლევების შედეგებმა დაადასტურა, რომ აშშ-ს მენეჯერებმა უფრო მეტად არ ისურვეს ქრთამის გადახდა ვიდრე მათმა ევროპელმა კოლეგებმა, რომლებიც ქრთამსა და დაჯილდოვებას ერთმანეთისგან არ ასხვავებდნენ. მენეჯერებს ასევე კითხეს მათი ასეთი ქცევის მიზეზი. მიზეზი განსხვავდებოდა მათი ეროვნებიდან გამომდინარე. მაგალითად, აშშ-ს მენეჯერების დაახლოებით 50% მიაჩნდა, რომ მათ არ უნდა გადაეხადათ ქრთამი, რადგან ეს ეთიკის საწინააღმდეგოდ მიაჩნიათ, ფრანგების მხოლოდ 15% და გერმანელების 9% იმავე მოსაზრების არმონდა. ევროპელებმა აღიარეს, რომ კონკურენციის გამო მოიქცნენ ასე. აშშ-ს მენეჯერები უფრო ყურადღებით ეკიდებოდნენ ეთიკურ საკითხებს, როდესაც ევროპელებისთვის მნიშვნელოვანი იყო კონკურენციული ბიზნესის შენარჩუნება. სხვა ქვეყნებში ჩატარებულ კვლევებმა იგივე შედეგი მოგვცა. საინტერესოა ერთი ფაქტი, კვლევებმა აჩვენა, რომ მაშინაც კი, როდესაც ეთიკასთან მიმართებით ქვეყნებში დამოკიდებულება მსგავსია, შედეგების მიხედვით მორალური მიდგომები განსხვავებულია.

ეროვნული სხვაობების ზეგავლენა ეთიკური ნორმების დაცვაზე საკმაოდ დიდია და ამის გამო რთულია, რომ ბიზნესის ეთიკური მიდგომები მოკლე დროში შეიცვალოს. მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში ბოლო პერიოდში გატარებული ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ცვლილებების მიუხედავად, ამ ქვეყნის ბიზნესის ეთიკის მიმართ დამოკიდებულება მაინც იგივე დარჩა.

ბიზნესის ეთიკის კოდექსი

ერეში განსხვავებული დამოკიდებულებაა ეთიკის მიმართ. აქაც შეიმჩნევა განსხვავებული მიდგომები, რომლებიც ერების კულტურის ანარეკლია. ერთ-ერთ კვლევაში შედარებულ იქნა ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის 600 ევროპული ფირმა ამერიკულ კომპანიებთან. ამერიკის ფირმები პირველ ადგილზე აყენებდნენ ეთიკის ნორმებს, საფრანგეთის ფირმების მხოლოდ 30% იქცეოდა ასე, გერმანიის 51%, ინგლისის 41%, ეს ციფრები ახლოსაც კი არაა ამერიკული კომპანიების 75%-თან, რომლებსაც საკუთარი ეთიკის კოდექსები გააჩნიათ. ევროპული ფირმების უმეტესობამ ეთიკის კოდექსი 1984 წელს შემოიღო. გერმანულმა კომპანიამ “ზეისმა” ეთიკის კოდექსი თავის მომუშავეებს გააცნო 1896 წელს. ის ევროპული კომპანიები, რომელთაც გააჩნიათ ეთიკის კოდექსი, უფრო მეტად თანამშრომლობენ აშშ-თან, ვიდრე ისინი რომელთაც არ გააჩნიათ ის. მათი 25% სუბსიდირებულია აშშ-ს მულტიეროვნული კომპანიების მიერ. მაშინ, როდესაც იმ ფირმების მხოლოდ 2% სუბსიდირებულია აშშ-ს მიერ, რომელთაც არ გააჩნიათ მსგავსი კოდექსები.

გამოკვლევამ ყურადღება მიაქცია ეთიკის კოდექსებს შორის არსებულ შინაარსობრივ განსხვავებებსაც. თავიანთ კოდექსში მომუშავეთა ყოფაცქვევას განიხილავენ ევროპული ფირმების 100 %, როდესაც ასე იქცევა აშშ-ს ფირმების მხოლოდ 50 %. აშშ-ს ფირმების 80% ეხება მომხმარებლებთან ურთიერთობის საკითხს, ევროპის მხოლოდ 67%. აშშ-ს ფირმების 86% ეხება მთავრობასთან ურთიერთობებს, ევროპის კი მხოლოდ 20%.

ეთიკური ქცევა და პიროვნების უფლებები

როგორც უკვე აღვნიშნეთ უმრავლესობა ეთანხმება იმ აზრს, რომ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედება არასწორია. მულტი ეროვნული კომპანიებისათვის მნიშვნელოვანია ის თუ რა ზომებს მიმართონ მაშინ, როდესაც ბიზნესს აწარმოებენ ქვეყანაში, რომლის მთავრობაც არღვევს თავისი მოქალაქეების უფლებებს. კომპანიების მცირე ნაწილი ამბობს უარს ასეთ გარემოში ბიზნესის წამოწყებაზე, როდესაც უმრავლესობა ასეთ პირობებშიც აგრძელებს საქმიანობას იმ მიზნით, რომ აწარმოოს მეტი საქონელი და მომსახურება.

პიროვნების უფლებები სამხრეთ აფრიკაში

სამწლიანი თეთრკანიანი მმართველობის პერიოდში სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდმა შავკანიან მოსახლეობას ჩამოართვა ხმის მიცემის უფლება და თეთრკანიანებთან, მათი ნებართვის გარეშე აუკრძალა ცხოვრება. ნათელია, რომ მსოფლიოს უდიდესი ნაწილი ასეთ ქმედებას არასწორად მიიჩნევს. მიუხედავად ამისა, მსოფლიო აგრძელებდა ბიზნესს კავშირებს სამხრეთ აფრიკასთან. 1970-იან 1980-იან წლებში აპარტეიდის სისტემამ გაართულა მულტიეროვნული კომპანიების საქმიანობა. მათ აქციონერებს გაუძნელდათ ბიზნესის წამოწყება აფრიკაში. 1977 წელს ბაბტისტმა მინისტრმა და „ჯენერალ მოტორზის“ დირექტორთა საბჭოს წევრმა ლეონ სალივანმმა „უიდერლინეს“ ფირმებისთვის, რომლებიც ბიზნესს სამხრეთ აფრიკაში აწარმოებდნენ შეიმუშავა „სალივანის პრინციპები“. მათი მთავარი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ აშშ-ის მულტიეროვნული კომპანიები არ უნდა დამორჩილებოდნენ აპარტეიდის კანონებს. 10 წლის შემდეგ ლეონ სალივანმა გამოიტანა დასკვნა, რომ ამ პრინციპებმა არ გაამართლა. ამის შემდეგ მან შეცვალა თავისი პოზიცია და შეიმუშავა ახალი ემბარგოს დაწესების სტრატეგია.

სამხრეთ აფრიკაში მოღვაწე აშშ-ს კორპორაციების უამრავმა აქციონერმა აირჩია იგივე გზა, მათმა 25 % დატოვა ქვეყანა. ბიზნესის მთავარი მიზანი ფულის კეთებაა, ამასთან, აუცილებელია რომ მან იტვირთოს სოციალური ფუნქცია. მაგალითად, აფრიკაში ტრანსეროვნული კომპანიების ნაწილმა იმ ადგილებში, სადაც შავკანიანი მოსახლეობა ცხოვრობდა მოახდინა სახლებისა და სკოლების მშენებლობა. ამით ამ

კომპანიებმა აფრიკაში დაბრუნების შემდეგ ამ საზოგადოებაში დაიმკვიდრეს საკუთარი ადგილი. პრეზიდენტ ნელსონ მანდელას არჩევის შემდეგ სამი წლის გამწვანებაში ასეთი კორპორაციების რიცხვი 40%-ით გაიზარდა. სამხრეთ აფრიკაში ზოგიერთი მულტიეროვნული კომპანიის ქმედება მეტყველებს იმაზე, რომ ისინი არ იცავენ საერთაშორისო ეთიკურ ნორმებს მაშინ, როდესაც ისეთ მთავრობასთან ამყარებენ ურთიერთობას, რომელის საქციელიც მორალურად გაუმართლებელია.

ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემა ჩინეთში

ეს ბოლო დებულება ჩინეთზეც ვრცელდება. ბოლო წლებში ამ ქვეყანაში საზღვარგარეთიდან უზომოდ ბევრი ინვესტიციის შესვლა განხორციელდა და როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, ეს ინვესტიციები მრავალი მიმართულებით გამოიყენება. თუმცა პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ბევრის აზრით, ჩინეთმა პასუხი უნდა აგოს ადამიანის უფლებათა სხვადასხვა სახით დარღვევისათვის. ისეთი ჯგუფების აზრით, როგორიცაა „საერთაშორისო ამინისტია“ (Amnesty International) და „ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაცია“ (Human Rights Watch), ჩინეთის მთავრობა პასუხისმგებელია პიროვნების თავისუფლების ადკვეთისა და ადამიანის უფლებების დარღვევაში სხვა სერიოზული დარღვევებისთვის.

აშშ-ს მულტიეროვნული კომპანიები, ისევე როგორც მთავრობა აგრძელებენ ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკის არგუმენტირებას. მათ მიანაირად, რომ ბიზნესი ჩინეთში უნდა იყოს მიმართული ადამიანის უფლებების დაცვისაკენ. იგივე არგუმენტი გამოყენებული იყო ათწლეულების წინ სამხრეთ აფრიკაში. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ჩინეთში სამუშაო პირობების გაუმჯობესებით, მულტიეროვნულ კომპანიებს შეუძლიათ დაეხმარონ ამ ქვეყნის მოსახლეობას ადამიანის უფლებებისადმი დამოკიდებულების შეცვლაში. ეს შეიძლება მოხდეს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებით, ზრდისა და სამუშაოს უსაფრთხო პირობების შექმნის საფუძველზე. მაგალითად, მულტიეროვნულ კომპანიებს შეუძლიათ ადგილობრივ მუშაკებს მისცენ პიროვნული ზრდისა და განვითარების შესაძლებლობა, ჩაუტარონ სპეციალური ტრენინგები მათში ინდივიდის პატივისცემისა და ტოლერანტობის გასაღრმავებლად. მაგალითისთვის, ფირმებს შეუძლიათ ტრენინგების ჩატარება მულტინაციონალთა შორის მობილობის გასაზრდელად და შექმნან დამატებითი სამუშაო ადგილები. გარკვეული დროის შემდეგ ეს ნაბიჯები ჩინეთში ხელს შეუწყობს გამოცდილი და მცოდნე სამუშაო ძალის ჩამოყალიბებას. სხვები თვლიან, რომ ბიზნესის წარმოება ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა ჩინეთი, უფლებბელყოფს ადამიანთა უფლებების დარღვევის პრობლემას. ასეთია, მაგალითად LLaogai Research Foundation-ის პოზიცია, რომლის ხელმძღვანელიც არის სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ჰარი ვუ. მისი გამოკვლევის თანახმად, მულტიეროვნული კომპანიების მხრიდან ჩინეთის მთავრობასთან თანამშრომლობის ზრდის მიუხედავად, ადამიანის უფლებების დარღვევაში მდგომარეობის გაუმჯობესება არ მომხდარა. ჰარი ვუმ თავად გაატარა 9 წელი ჩინეთის საპატიმრო კატორღაში ჩინეთის მთავრობის სახალხო კრიტიკისთვის. მას შემდეგ ის ჩინეთში მტავრობისათვის ადამიანის უფლებათა დარღვევის გამოაშკარავების უსიამოვნების წყაროდ იქცა. რამდენიმე წლის წინ ჰ. ვუ ჩინეთის ტერიტორიაზე არალეგალურად გადავიდა (ის აშშ-ს მოქალაქეა) და ვიდუოფირზე აღბეჭდა რამდენიმე საპატიმრო კატორღა, ისეთები, როგორიცაა “Hangzhou Hardware & Tool Works” სადაც დაახლოებით 1600 პოლიტიკური პატიმარი იძულებით ყოველდღე შრომობს. ქარხანაში დამზადებული ხელსაწყოების ექსპორტი ხდება მთელ მსოფლიოში, მათ შორის აშშ-ში. დაკვირვებით დადგინდა, რომ ასეთ ბანაკებში დაახლოებით 10 მილიონი ადამიანი ჰყავთ, რომელთა უმრავლესობაც მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლისთვის იქნა დაპატიმრებული. ამ ხალხს საშიშ პირობებში მრავალი საათის განმავლობაში ყოველ დღე იძულებით ამუშავებენ, მათ სცემენ, აწამებენ და ცუდად კვებავენ.

ამ ფაქტების მიუხედავად, თითქმის არც ერთ მულტიეროვნულ კომპანიას არ მიუღია ის ზომები, რომელთა განხორციელება სამხრეთ აფრიკაში. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არსებობენ გამონაკლისებიც. „რიბოკ ინტერნეიშენალი“ , აგრძელებს რა თავის

საქმიანობას ჩინეთში, მკაფიოდ გამოხატავს თავისი პოზიცია მთავრობის მიმართ. კომპანიამ გაუგზავნა არაორაზროვანი შეტყობინება ჩინეთის მთავრობას „ტიანანმენის“ მოედანზე მომიტინგეების „დარბევის“ შემდეგ, რომელიც 1989 წელს ადამიანთა უფლებების დამცველთა დაჯილდოებას მოჰყვა. ჯილდო გადაეცა ჩინეთის დემოკრატიული მოძრაობის 4 ლიდერს. „რეიბოკი“ როკ ვარსკვლავ პიტერ გაბრიელთან და ადამიანის უფლებათა სამართლის კომიტეტთან ერთად ფინანსურ დახმარებას უწევს ჯგუფ „Witness“-ს (მოწმე). ეს ჯგუფი მთელს მსოფლიოში (ჩინეთის ჩათვლით), უსასყიდლოდ გადასცემს ვიდეოკამერებსა და ფოტოაპარატებს ადამიანის უფლებათა ადგილობრივ დამცველებს.

შრომის კოდექსის დაცვის აუცილებლობა

ფაქტია, რომ ქვეყნის კოდექსების გამოყენებამ ბოლო ხანებში იმატა, განსაკუთრებით აშშ-ის მულტიეროვნულ კომპანიებს შორის. „ლივია სტრაუსისგან“ განსხვავებით რამოდენიმე მულტიეროვნული კომპანია ეთიკურ კოდექსის მთხოვნების წაყენებას უცხოელი ბიზნესპარტნიორთათვის ეჭვის თვალით უყურებს. მაგალითად, „ნაიკის“ პოლიტიკით გარკვეულ ეტაპზე იგი თვლიდა, რომ საკმარისი იყო უცხოელ კონტრაქტორს დაეცვა ადგილობრივი შრომის კანონი. „ნაიკმა“ წესები გაამკაცრა პრესაში მისი კრიტიკის შემდეგ, რადგანაც ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ჩინეთი და ინდონეზია ადგილობრივი შრომითი კანონების არასრულყოფილების გამო, კონტრაქტორები შრომის დაცვის მიმართულებით აკეთებდნენ მცირედს.

მაგრამ ამ მიმართულებით წესების მხოლოდ გამკაცრება ზოგჯერ არასაკმარისია. სინამდვილეში საჭიროა კანონის საქმიანობაში გატარება. მაგალითად, „ლივია სტრაუსი“ ისმენს თავისი პარტნიორების პერიოდულ ანგარიშებს, იმ მიზნით, რომ დაადგინოს იცავენ თუ არა ისინი შრომის წესებს. 2017 წელს 50 ქვეყნიდან 700-ზე მეტი პარტნიორის ანგარიშმა აჩვენა რომ კომპანიის სტანდარტებს იცავს მათი თითქმის 70 %.

შრომის პირობების მკაცრი დაცვის მიუხედავად, „ლივია სტრაუსმა“ შენიშნა, რომ ამ დარგში ის ვერ ავიქსირებდა ყველაფერს. ამის მიზეზი ნაწილობრივ შეიძლება იყოს ის, რომ მის მიერ ადგილებზე წარგზავნილი ინსპექცია იმ მიზნით რომ არ გაენაწილებინა კონტრაქტორები თავს იკავებდა ღრმა ძიებისგან. სხვა კომპანიები კონტრაქტორებს ანდობენ, რომ თვითონ აკონტროლონ თავიანთი ქმედებები. მაგალითად, კომპანია „ჯი სი პენის“ თავის უცხოელ მიმწოდებლებს ხელი მოაწვინა ქვეყნით კოდექსზე, რომელიც კრძალავს ადგილობრივი შრომითი კანონის დარღვევას, მაგრამ „პენის“ გვატემალელმა კონტრაქტორებმა განაცხადეს, რომ კომპანია დაინტერესებულია მხოლოდ პროდუქტის ხარისხით და ის არ ამოწმებს წარმოების სამუშაო პირობებს. უფრო მეტიც, ეს კონტრაქტორები იყენებდნენ არასრულწლოვანთა შრომას, იხდიდნენ ლეგალურ მინიმუმზე ნაკლებ ხელფასს და ზოგჯერ დასვენების დღეებში „პენისათვის“ ითხოვდნენ აუნაზღაურებელ მუშაობას. „პენის“ და აშშ-ს კიდევ ერთი საცალო გაყიდვების მაღაზიის „ტარჯეტის“ დასკვნით კანონის დაცვის კონტროლი ფიზიკურად შეუძლებელია, რადგან მიმწოდებლები განთავსებული არიან ათასობით საწარმოსა და ათობით ქვეყანაში. ამასთან, ცხადია ისიც, რომ შეზღუდულ კონტროლსაც შეუძლია დახმარება. მაგალითად, “ვოლ მარტი“ აწარმოებს პერიოდულ ცონტროლს, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა იძულებითი შრომის რაოდენობა, გვატემალაში განლაგებულ მის ქარხნებში.

კრიტიკოსებს ობიექტურად მიაჩნიათ, რომ მისი პრაქტიკაში რეალიზაციის გარეშე, ქვეყნის კოდექსს არ გააჩნია მისი პრაქტიკული დატვირთვა. სიღარიბის გამო, ზოგიერთი ქვეყანის მუშაკები მზად არიან შრომის გაუსახარისი პირობებითა და დაბალი ანაზღაურებით მიიღონ საზღვარგარეთ სამუშაო. ამ გზას ხშირად „ნებაყოფლობით მონობასაც“ უწოდებენ და დასავლური ფირმები ამის არაპირდაპირი მონაწილეები არიან. ერთ-ერთი კერძო შემთხვევა გვიჩვენებს არასასურველ, თუმცა ჩვეულ მოვლენას. მხედველობაში გვაქვს მარი, თავისი შრომით სასოწარკვეთილი ფილიპინელი მუშა, რომელმაც მუშაობა „მოტოროლას“ ტაივანელ სუბკონტრაქტორთან დაიწყო. მან ისესხა 20000 დოლარი 10 %-იანი თვიური შესატანით ადგილობრივი მსესხებლისგან, რათა ეს

ფული სამუშაოს მისაღებად გადაეხადა ფილიპინელი დასაქმების ბროკერისთვის. ტაივანში ის თვითონ გამოიმუშავეს 460 დოლარს, რითაც იხდის სესხის პროცენტს, ტაივანის საშემოსავლო გადასახადს, საცხოვრებლისა და საჭმლის ხარჯებს. ფაქტობრივად, ის და მისი მსგავსი მუშები უფრო მეტ ვალსაც იღებენ. მსგავსი რამ შეიძლება მოხდეს ლეგალური დაცვის მქონე ქვეყნებშიც. ჟურნალ „business Veek“-მა ეს ამბავი გამოქვეყნდა სათაურით „მუშა მონობაში“ და ამით დაადასტურა მსგავსი შემთხვევების არსებობას ევროპულ ქვეყნებში. დასავლეთ ევროპის ქვეყნები დიდი ხანია ამყობენ მაღალი შრომის სტანდარტებით, რომლებსაც ისინი სთავაზობენ მუშაკებს და მათ აგრეთვე გააჩნიათ ბევრად მეტი ლეგალური დაცვა, ვიდრე აშშ-ში. მაგრამ ამის მიუხედავად, ასე ათასობით ეკონომიკური ემიგრანტის, რომლებიც მიედინება ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში ან ევროპის სხვა ქვეყნები, ჩინეთიდან, ინდოეთიდან, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან გააჩნიათ შრომის აუტანელი პირობები.

თუმცა შრომის კოდექსის ცვლილების პოზიტიური ტენდენციები ქმნიან მისი დაცვის პერსპექტივას. კოდექსს აკრიტიკებენ, რომ ის არა აქტიურ სოციალურ პასუხისმგებლობაზე არამედ უფრო ხალხთა ურთიერთობებზეა აგებული. დღეს მნიშვნელოვანია ამ დარგში კომპანიების ანგარიშების გამოქვეყნება. მხოლოდ რამდენიმე ფირმა, „ნაიკის“, „რიბოის“, „ვენ ჰაუზენის“ ჩათვლით, სახალხოდ გამოვიდნენ ამ ანგარიშებით. სახალხო განხილვისთვის 2010 წლიდან ეს ანგარიშები ხელმისაწვდომია ინტერნეტითაც (www.fairlabor.org). ამან შეიძლება „უოლ-მარტი“, „დისნეი“, „გეფი“ და სხვა ფირმები, აიძულოს იგივე გააკეთონ.

საექვო გადახდებისა და მექრთამეობასთან დაკავშირებული ეთიკა

არიან თუ არა მულტიეროვნული კომპანიები პასუხისმგებელი მუშაკთა დაცვაზე, მაშინ, თუ ისინი უცხოელ კონტრაქტორებთან ერთად მუშაობენ? ეს მართლაც მნიშვნელოვან ეთიკურ პრობლემას წარმოადგენს. არის კიდევ მრავალი საკითხი, რომელთა გარშემო უნივერსალიზმი ეწინააღმდეგება რელატივიზმს. მაგალითად, საუდის არაბეთში უკანონოდ ითვლება მდებარებითი სქესის მენეჯერის სამსახურში აყვანა. ამერიკელთათვის კი არსებობს მუშაკთა გენდერული დისკრიმინაციისაგან დაცვის კანონი. არის თუ არა არაეთიკური საუდის არაბეთთან ბიზნესის წარმოება? მსგავსად ამისა, არის თუ არა არაეთიკურისაწარმოოს საზღვარგარეშ განთავსების შემთხვევაში მკაცრი ადგილობრივი კანონების იგნორირება?

ხშირად ასეთი შემთხვევების დროს მულტიეროვნულ კომპანიებს განუცხადებით, რომ მათი ეთიკური ქმედება სამართლიანი და მორალურად კორექტულია. მართლაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რელატივისტური შეხედულება აგებულია ნდობაზე და მისადმი რამდენიმე ცნობილი მკვლევარის უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, ბევრი მულტიეროვნული კომპანიისათვის მიმზიდველია.

ჩვეული პრაქტიკა, რომელიც ასევე ეხება რელატივიზმს, არის საექვო გადასახადების გაცემა. ის წარმოდგენილია სხვადასხვა ფორმით: როგორც მექრთამეობა, გამომძაღველობა და შინაურ და გარეშე ბიუროკრატიებსა და ბიზნეს ლიდერებზე მსხვილი ფულადი ჯილდოს მიცემა. საერთაშორისო ბიზნესში მექრთამეობასა და მის მსგავს ქმედებებს გრძელი და ტიტულოვანი ისტორია გააჩნია. გარდა პირდაპირი ფულადი ჯილდოსი, ეს ქმედება უცხოელი და ადგილობრივი თანამდებობის პირებისთვის მოიცავს ძვირფას საჩუქრებს (სამკაულებს, ხელოვნებისა და სხვა საკოლექციო ნიმუშებს), ძვირადღირებულ გართობას, უფასო მოგზაურობას.

ფაქტია, რომ უკანონო ან საექვო გადასახადების გაცემა ჩვეული პრაქტიკაა. ისტორიის მანძილზე ის დამკვიდრდა მრავალ საზოგადოებაში – სულ ერთია არის ეს აფრიკა, აზია, შუა აღმოსავლეთი, ევროპა თუ ამერიკა. უძველესი ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ მექრთამეობა იყო ჩვეულებრივი მოვლენა. მართლაც, მექრთამეობა იმდენად არის ქცეული თითქმის ყველა კულტურის ნაწილად, რომ ამ სიტყვის შესატყვის ფორმას თითქმის ყველა ენაში წავაწყდებით. ცხრილში 3.4

გთავაზობთ მთელი მსოფლიოდან იმ სიტყვების მაგალითებს, რომლებიც გამოხატავენ საეჭვი დაჯილდოვებას.

მაგალითად, ქრთამის (baksheesh) გაცემა არაბულ და თურქულ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნებში ნიშნავს საეჭვო ან არალეგალურ ანაზღაურებას. მსგავს ქვეყნებში საუკუნეების მანძილზე (ოტომანთა იმპერიის მსგავსად), უფლებამოსილი ხელმწიფეები ადგენდნენ ამ წესს და ამით აღიარებდნენ პოლიტიკური ჯილდოების არსებობის აუცილებლობას. ამ წესს შეეძლო დაეცვა ბიზნესი, რაც არ შეეძლო საკანონმდებლო სისტემას. ამის მსგავსად, მექსიკაში ტერმინი *La mordida* (კბენა) ასახავს ამავე ისტორიას და მთავრობის ბიუროკრატთა სისუსტეს. ტერმინები სხვა ენებში, მაგალითად იტალიური *bustarella* (პატარა კონვერტი) და ფრანგული *pot au vine* (ღვინის დოქი), გამოხატავენ ამ ქმედების მკაფიო სურათს. ნიგერიაში კი კომპანია, რომელიც არ აჯილდოებს ადგილობრივ ბიუროკრატებს, საერთოდ ვერ შეძლებს ფუნქციონირებას.

საინტერესოა, რომ თითქმის ყველა ქვეყანა აშკარად კრძალავს თავის ოფიციალურ პირთა მექრთამეობას. ამიტომ, თუ პიროვნებამ უცხოელ თანამდებობის პირს გადაუხადა არალეგალური ჯილდო, ის რისკის ქვეშ აყენებს პირადი თავისუფლებას (გაეიხსენოთ 2010 წელს საქართველოში დაპატიმრებული ებრაელი ბიზნესმენების ხმაურიანი ამბავი). ამ უნივერსალური შეხედულების მიუხედავად, ქვეყნები კორუფციის დონისა და პრაქტიკის მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ზოგან მექრთამეობა მცირე ან სრულიად არასარისკოა, რადგან ის ამ ქვეყანაში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. ასე მაგალითად, ინდონეზიაში ჩატარდა ბიზნესმენთა, მთავრობისა და მოსახლეობის გამოკითხვა. სხვა შედეგთა შორის, სახლების მეპატრონეების 65%-ზე მეტმა აღიარა, რომ თანამდებობის პირები მათ სთხოვდნენ არაოფიციალურ გადასახადებს. ამის მსგავსად, 50%-ზე მეტმა განაცხადა, რომ ჩვეულებრივ მასწავლებლები ითხოვდნენ ქრთამს მოსწავლის სკოლაში დატოვებისთვის. თანამდებობის პირების 50%-მა აღნიშნა, რომ არაერთხელ მიუღიათ სხვადასხვა ფორმის საჩუქარი. სხვა შემთხვევებში კორუფციისა და მექრთამეობის მასშტაბი იმდენად დიდია (მაგალითად კომპანიისა და სახელმწიფო ფონდების მითვისება) რომ შეუძლებელია მისი იგნორირება, მაშინაც კი თუ მექრთამეობა მიღებული და ჩვეული პრაქტიკაა. მაგალითად, ინდონეზიელმა ბიზნესმენებმა აღიარეს, რომ სხვა გადასახადებთან ერთად, ისინი მზად არიან გადაიხადონ შემოსავლის 5%-ზე მეტი, თუ ეს თანხა კორუფციასთან ბრძოლას მოხმარდება.

ცივილიზებულ ქვეყნებში ქრთამის აღების შემთხვევაში, თანამდებობის პირი ან ბიზნესმენი კანონის მთელი სიმკაცრით ისჯება. 3.5 ნახაზზე წარმოდგენილია გამოკითხვის შედეგები, რომელიც ყოველწლიურად ტარდება მსოფლიოში კორუფციის შემსწავლელი ორგანიზაციის Transfparency International-ის მიერ. გამოკითხვამ კორუფციის დონის მიხედვით შეაფასა სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუციებისა და ბიზნესპირებს მქონე 133 ქვეყანა. კორუფცია განიმარტება როგორც მექრთამეობის, ქონების მითვისების, ფარული ქმედების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება ბიზნესის წარმოების პროცესში.

მექრთამეობა ქვეყნის გარეთ

საფრანგეთი წარმოადგენს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საინტერესო მაგალითს, რომელსაც სათავეში ბიზნესისა და მთავრობის ელიტარულ და მეუდრო ურთიერთობებზე აღზრდილი ფრანგი მოსამართლეები უდგანან. მოსამართლეებმა ნულამდე დაიყვანეს კორუფციის გავრცელების დონე (მექრთამეობა, მაგიდის ქვეშ დასაჩუქრება, მისაკუთრება), რომელიც სისტემის (საფრანგეთში ცნობილი როგორც ღირიგიზმი) უარყოფით შედეგს წარმოადგენს. მათი მოტივაციის ნაწილი არის ის, რომ კორუფციის გავრცელება ხელს უწყობს საფრანგეთის ეკონომიკის დასუსტებას, უმუშევრობის ზრდას და მხოლოდ პირადი ინტერესების მქონე, უკონკურენტო კომპანიების განვითარებას. ყველაზე განსაცვიფრებელია ფრანგულ მართლმსაჯულებაში მისი წინდახედულობა. 1995 წლიდან ათობით წამყვანი აღმასრულებელი და პოლიტიკოსი გახდა გამოძიების ობიექტი, ზოგი უკვე გაასამართლეს და დააპატიმრეს, მათ შორის არიან საფრანგეთის ცნობილი კომპანიების ხელმძღვანელები. საფრანგეთსა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მაღალი თანამდებობის პოლიტიკოსებს გააჩნიათ იმუნიტეტი, რომელიც იცავს მათ სასჯელისგან.

საქართველო ამ მხრივ უფრო წინ წავიდა აქ კორუფციის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლასთან ერთად მოიხსნა იმუნიტეტიც.

საფრანგეთისა და საქართველოს მაგალითებმა მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში ბიბი მისცა მექრთამეობის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასა და მარლთმსაჯულების აღსრულებას. გადახვედოთ იმ შემთხვევების ნუსხას, რომლებიც დასრულდა ან კრიმინალური გარჩევით ან გამოძიების წამოწყებით:

- 350 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის უკანონო სესხზე აგორებულმა სკანდალმა გამოაშკარავა ახლო ურთიერთობები ფინანსთა სამინისტროს, პოლიტიკურ ლიდერებს, ბანკირებსა და კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის. იაპონელი პოლიტიკოსების მოქრთამვის საფუძველზე „იაკუხას“ კომპანიებმა მიიღეს დიდი ოდენობის უკანონო სესხები .
- რ. ჩეი თი ვონი, სამხრეთ კორეის „სი ქეი“ კორპორაციის თავმჯდომარე, რამდენიმე მილიარდი დოლარის გადასახადის გაფლანგვის ბრალდების მქონე ერთწლიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს ციხიდან. კორეელებმა ამას პროტესტითა და აღელვებით უპასუხეს. რ. ჩეი თი ვონი, სამხრეთ კორეის პრეზიდენტის სიძე, შემჩნეული იქნა ფართო მასშტაბიან კორუფციაში. მიუხედავად ამისა, მრ. ჩეიმ შეინარჩუნა თავისი ადგილი სი ქეი ში – ქვეყნის ნომერ მესამე კონგლომერატში – და საგარაუდოდ დაუბრუნდება მენჯემენტს. ხანმოკლე შესვენების შემდეგ მან შეითავსა სხვა აღმასრულებლის, კომპანიაში მისი დროებითი შემცვლელის, ძალაუფლება. ისიც შემჩნეული იყო თადლითობაში, მაგრამ მიიღო მხოლოდ პირობითი სასჯელი.
- კორუფცია ჩინეთის მთავრობის მთავარი პრობლემაა, 2010 წელს კორუფციისა და მოსყიდვის 43000 სასამართლო პროცესი გაიმართა. მთავრობის წევრებმა დაადგინეს, რომ 1995-დან 2000-წლამდე კორუფციის შედეგად ქვეყანაში დანაკარგებმა მშპ-ს 13-17% შეადგინა. ამ შემთხვევებში მონაწილეობდნენ თავად მთავრობის წევრები. ბოლო წლებში მსჯავრდებები მოიცავს: პეკინის მერის და კომუნისტური პარტიის მდივნის 16 წლიანი წინასწარი პატიმრობას, შანხაის მერის კორუფციასა და კრიმინალურ ურთიერთობაში მონაწილეობისთვის გამოტანილ სასიკვდილო განაჩენს, ასევე სახალხო მინისტრის და ჩინელი პარლამენტის ვიცე-სპიკერის სასიკვდილო განაჩენს.
- მოსკოვში ოპოზიციური პარტიის ლიდერები კანონმდებლებისაგან მოითხოვდნენ ცვლილებები შეეტანათ კანონმდებლობაში იმ რუსული განვითარებადი კონგლომერატების გაუქმების მიზნით, რომლებსაც ლობირებდნენ მთავრობის თანამდებობის პირები. ისინი ქრთამის სანაცვლოდ ხელს უწყობენ კონგლომერატების მიერ გადასახადების გადაუხდელობას, იმპორტს, უცხოურ კონკურენციასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შემუშავებას. ზოგიერთი ამ ოცდათორმეტი რუსული მწარმოებელი გიგანტიდან ფლობს 500 საწარმოს და 72 ბანკს, რომლებშიაც 2.5 მილიონი ადამიანია დასაქმებული.

ამ თვალსაზრისით რა თქმა უნდა, არც აშშ-ია ბიზნესის წარმოების იდეალური ადგილი. ამერიკული ბიზნესის ისტორია სავსეა კორუფციის მსგავსი მაგალითებით. ექსპერტები მიუთითებენ, რომ აშშ-ის როგორებიცაა კვების, საცალო გაყიდვების და სხვა დარგები ჯერ კიდევ კორუფციის ბუდეს წარმოადგენენ. ყველაზე უარესი ისაა, რომ სხვა ეროვნების ადამიანები ფიქრობენ, რომ აშშ-მა ვერ გააცნობიერა თავისი ეთიკური ხასიათის სისუსტე. ამის შედეგად, აშშ აღიქმება როგორც ორიპირი – განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აშშ-მა თავისი წვლილი შეიტანა სკანდალებსა და ეთიკურ პრობლემებში, მანამ, სანამ Erno, Worldcom, Tyco და სხვა კომპანიებთან დაკავშირებული კორუფციის ახალი ტალღა წამოვიდოდა. ევროპელები თვლიან, რომ აშშ-ს სჭირდება გამოფხიზლება და მან მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს პიროვნული ეთიკაზე ბიზნესის ზეგავლენის საკითხებს.

ყველა განხილული მაგალითი ეხება მექრთამეობისა და კორუფციის იმ ფორმების გამოკვლევას, სადაც მონაწილეობენ ქვეყნის პოლიტიკოსები და ბიზნესლიდერები. მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას მიჩნია მექრთამეობა კანონგარეშედ. ქვეყნების უმეტესობა ირჩევს რომის ხედვას, რაც გულისხმობს, რომ ნებისმიერი ერის მოქალაქეები კორუფციის დარგში უნდა მისდევდნენ მსოფლიო პრაქტიკას. უფრო მეტიც, ზოგიერთი ქვეყანა, როგორცაა მაგალითად, შვედეთი, უფრო შორს მიდის და ბიზნესმწარმოებლებს უცხოეთის მთავრობისთვის გადახდილი იძულებითი ქრთამისთვის უმსუბუქებს გადასახადებს.

რამენიმე ათწლეულის წინ, აშშ-ს მიერ უცხოეთის წარმომადგენლებისთვის გაცემული ქრთამიც ხშირი იყო. 1970-იანების შუა წლებში, რამდენიმე კორპორაციული კორუფციის შემთხვევა საჯაროდ გახდა ცნობილი ფართო მასმედიისათვის. ამ დროისთვის აშშ კორუფციის მიმართ ძალიან მგრძობიარე გახდა, რადგან აგორებულმა სკანდალმა გამოიწვია პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის გადადგომა. გარდა ამისა, კარლ კოჩინმა, „ლოკჰიდის პრეზიდენტმა“, იაპონელ ჩინოვნიკებს და აგენტებს გადაუხადა ქრთამი, რათა დაეზღვიათ მნიშვნელოვანი კონტრაქტი, რომლის თანახმადაც Nippon Air -ი იყიდდა „ლოკჰიდის“ თვითმფრინავებს. კოჩინს დაუკავშირდნენ იაპონელი ჩინოვნიკები და აცნობეს, რომ თუ „ლოკჰიდს“ სურდა კონტრაქტი, გაყიდვების განსახორციელებლად ქრთამი უნდა გადაეხადა. მან რამდენიმეჯერ გადაიხადა ქრთამი, რაც მთლიანობაში 12.5 მილიონ დოლარს შეადგენდა. როცა პრესამ გამოაშკარავა „ლოკჰიდის“ ქრთამის ფაქტი, იგი დააჯარიმეს ასევე გადასახადების დარღვევისა და სხვა ფალსიფიცირებული აღრიცხვებისთვის. ექსპერტთა აზრით საინტერესოა ის, რომ მსგავსი უკანონო გადახდა, სავარაუდოდ, იაპონიაში ხშირია. „ლოკჰიდის საქმის“ სახალხოდ გამოაშკარავებამ იაპონიაშიც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ამ ინციდენტში გარეული სამთავრობო პირები დაისაჯნენ და ერთმა თავიც მოიკლა.

ყოველ შემთხვევაში, „ლოკჰიდის“ ინციდენტმა ფართო ყურადღება დაიმსახურა. ამ საქმის უფრო დეტალურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ეს იყო „ლოკჰიდის“ მიერ უცხოელების მოქრთამვის კერძო შემთხვევა. ამ თვალსაზრისით „ლოკჰიდი“ ერთადერთი კომპანია არ იყო. სინამდვილეში, 1974-1976 წლებში, როცა „ლოკჰიდის“ შემთხვევა დაფიქსირდა, უცხოელი ჩინოვნიკებისა და კომპანიებისთვის აშშ-ის დაახლოებით 450 კორპორაცია გასცემდა უკანონო გადასახადს. ისედაც გაღიზიანებული ხალხის რეაქციამ უბიძგა კონგრესს მიუღო „აქტი საზღვარგარეთ კორუფციის შესახებ“, რომელიც დაამტკიცეს 1977 წელს და მოგვიანებით შეცვალეს, რათა დაეზუსტებინათ მასში წარმოდგენილი კორუფციის არაერთმნიშვნელოვანი გაგება.

„საზღვარგარეთ კორუფციის შესახებ“ აქტი

აღნიშნული აქტის შესაბამისად კანონგარეშე ქმედებად ითვლება ბიზნესის შექმნის ან გაფართოების მიზნით უცხოეთის ქვეყნის მთავრობის ოფიციალური პირებისათვის ქრთამის მიცემა ან შეთავაზება. კანონის დამდრევეი კომპანიებისათვის დაწესებული ჯარიმები აღემატება მილიონ დოლარს, ხოლო ინდივიდუალურ პირებს მსგავსი ქმედებისათვის არა მხოლოდ ფინანსური ჯარიმა, არამედ 5 წელზე მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთაც შეიძლება დაემუქროთ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ კანონის არსებული ვერსია არ კრძალავს ზოგიერთი ტიპის „საექვო“ გადახდებს ქვეყნების მთავრობებისა და მათი წარმომადგენლებისათვის. ამ შემთხვევაში ხდება ქრთამისა და ფინანსური ხელშეწყობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ეს უკანასკნელი ხშირად მოხსენიებულია როგორც „საპოხი გადახდები“, რადგან ისინი გამოიყენება ბიზნესის ასამუშავებლად, მისი „ბოროტების გასაპოხად“ და მოქმედებაში მოსაყვანად. კანონსაწინააღმდეგო ქმედებად არ ითვლება თანხის გადახდა დაბალი და საშუალო რანგის ოფიციალური პირებისათვის, რათა მათ უკეთ შეასრულონ ის ფუნქციები, რასაც საკუთარი თანამდებობა ავალდებულებს.

მაგალითად, ბევრ ქვეყანაში საბაჟოს თანამშრომლებისთვის მცირე თანხის გადახდა აუცილებლობას წარმოადგენს, რათა მათ შეასრულონ საკუთარი მოვალეობები, მოახდინონ ტვირთის შემოწმება და საზღვარზე გატარება. ზოგჯერ განსაზღვრული თანხის მიღებამდე მათ შეუძლიათ ხელგონურად დააბრკოლონ და ხელი შეუშალონ ტვირთის გადაზიდვას. არაკანონიერ ქმედებად არ განიხილება:

- 1) თანხის გადახდა იმ ბიუროკრატიული წინაღობების გადასალახად, რომლებიც ხელს უშლიან ბიზნესის განვითარებას.
- 2) ფულადი დახმარება, რომელიც ახდენს დაბალი ანაზღაურების კომპენსაციას და წარმოადგენს მადლობის გადახდის ფორმას.
- 3) ნებართვების მოსაპოვებლად საფასურის გადახდა, რომელიც შედის დამატებით გადახდაში.

ძირითადი განსხვავება ქრთამსა და „საპოხ გადახდებს“ შორის არის ის, რომ ეს უკანასკნელი, როგორც წესი შედარებით მცირე მოცულობისაა და მისი მეშვეობით ხდება მხოლოდ იმ სიკეთეების მიღება, რისი კანონიერი უფლებაც ნებისმიერ ბიზნესს გააჩნია

(მაგალითად, საიმპორტო ღირებულება). ბევრი მიიჩნევს, რომ მორალური თვალსაზრისით მათი გამიჯვნა შეუძლებელია.

„სახლვარგარეთ კორუფციის შესახებ“ აქტის მიღების შედეგები

მიუხედავად იმისა, რომ კანონი დიდი ზარზემით იყო ხელმოწერილი პრეზიდენტ ჯიმი კარტერის მიერ, იგი ამერიკული მულტიეროვნული კომპანიების მხრიდან მაინც კრიტიკის საგანი გახდა. ამ უკანასკნელთა აზრით ამერიკული ბიზნესის კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვნად უკავშირდებოდა აღნიშნულ კანონს. რამდენიმე წამყვანი კომპანიის ხელმძღვანელი ღიად აცხადებდა, რომ წარსულში ხშირად დაუკარგავთ მომგებიანი კონტრაქტები უცხოეთის მთავრობებისათვის ქრთამის გადახდაზე უარის თქმის გამო. შედეგად, კომპანიები ბაზარზე დამკვიდრებას შედარებით დაბალი ხარისხის პროდუქციითა და მომსახურებით ახერხებდნენ, სამართლიანი ბიზნესგარემოს პირობებში ვერ შეძლებდნენ კონტრაქტის მიღებას.

ბიზნესლიდერებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია აქტის შესაძლო შედეგებმა. ეფექტიანი კონკურენციის გასაწევად ამერიკულ კომპანიებსაც უნდა შეეძლოთ იგივე მეთოდების გამოყენება, რასაც უცხოური ტრანს ეროვნული კომპანიები იყენებენ, მათ შორის მოქრთამვა. უფრო მეტიც, როგორც ზემოთ აღინიშნა ზოგიერთ ქვეყანაში მთავრობების მიერ არა მხოლოდ ნებადართულია ქრთამის აღება, არამედ ამის გამო სახელმწიფო გადასახადების გამოქვითვაც კი ხორციელდება (მაგალითისთვის გერმანია და შვეიცარია). სიტუაცია გარკვეულწილად შეიცვალა 1999 წელს ევროპაში ანტიკორუფციული კანონმდებლობის მიღებით, რომლის მთელი რიგი მუხლები შეესაბამება ამერიკულ კანონებს. მიუხედავად ამისა, მაინც იბადება კითხვა: მსოფლიო ბაზარზე ასეთი შეზღუდვების პირობებში, როგორ უნდა იყოს ამერიკული ბიზნესი კონკურენტუნარიანი ?

ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად ჩატარდა გამოკვლევა, რომელსაც უნდა დაედგინა ის, თუ სახლვარგარეთ რამდენად უარყოფითი ზემოქმედებათს ახდენს კანონმდებლობა ამერიკული ბიზნესის საქმიანობაზე. კვლევის დროს შეფასებული იქნა ანტიკორუფციული კანონმდებლობის ძალაში შესვლის შემდეგ ამერიკული ბიზნესის ხვედრითი წილი ორი განსხვავებული ტიპის ქვეყნის ბაზარზე. აღნიშნულის განსახორციელებლად საჭირო გახდა ინფორმაციის მიღება 50-ზე მეტ ქვეყანაში ბიზნეს-პრაქტიკის შესახებ ამერიკული საელჩოებისა და ვაჭრობის დეპარტამენტის ოფიციალური პირებისაგან. გამოკითხვის მიზანს წარმოადგენდა ისეთი ქვეყნების დადგენა, სადაც კორუფციული გარიგებების ხვედრითი წილი საკმაოდ მაღალია და სადაც მსგავსი პრაქტიკა არ არსებობს. კვლევის შემდგომ ეტაპზე შეფასდა მცირდება თუ არა ექსპორტი ამერიკულ კანონმდებლობის გავლენით იმ ქვეყნებში, სადაც არაკანონიერი ფინანსური გადახდები მოქმედებს. მეცნიერებმა შეისწავლეს რა ამერიკული კომპანიების ხვედრითი წილი ბაზარზე კანონის მიღებამდე (1971-1976 წლები) და კანონის მიღების შემდეგ (1977-1980 წლები), ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ანტიკორუფციულ კანონმდებლობას არ გამოუწვევია ამერიკული ბიზნესის კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი შემცირება. ფაქტობრივად, სხვადასხვა ტიპის ქვეყნებში ორივე პერიოდის განმავლობაში არსებული ვითარება უცვლელად აღმოჩნდა.

საბოლოო ჯამში, მონაცემების არასრულყოფილების მიუხედავად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ თავდაპირველი დასკვნები სიმართლეს შეესაბამება და ამერიკული ანტიკორუფციული კანონმდებლობა ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას ზიანს არ აყენებს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ ამერიკული კომპანიებს არ უხდებათ მნიშვნელოვან კონტრაქტებზე უარის თქმა, რადგან უფლება არა აქვთ უცხო ქვეყნის მთავრობებს ქრთამი გადაუხადონ. მაგალითად, ამერიკული ფიჭური კავშირგაბმულობის რამდენიმე კომპანიამ პრეტენზია გამოთქვა იმის გამო, რომ მოქმედი კანონმდებლობის პირობებში, მათ ვერ შეძლეს ეკვადორის მთავრობასთან კონტრაქტების გაფორმება ამ უკანასკნელის მიერ სატელეფონო კომპანიის პრივატიზაციის შემდეგ. შედეგად 200 კონტრაქტიდან დაახლოებით 90%-ის შემთხვევაში კონტრაქტორი იყო არამერიკული კომპანია, რადგან ამერიკულმა კომპანიებმა არ გადაუხადეს კონტრაქტის ღირებულების 10% ადგილობრივ ოფიციალურ პირებს. ანალოგიურად, „ფორდ მოტორზმა“ დაკარგვა ბაზრის მნიშვნელოვანი წილი ინდონეზიაში, რადგან მისმა მოწინააღმდეგე „პიუნდაიმ“ მეტად „გულთბილი“ ურთიერთობა დაამყარა პრეზიდენტ სუჰარტოს ვაჟებთან. მრავალი მულტიეროვნული კომპანია დღესაც აღიარებს, რომ ინდონეზიაში ბიზნესგარიგებების დადება ფაქტობრივად არ ხორციელდება სუჰარტოს ოჯახის მფარველობის

გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის 6 შვილიდან ერთ-ერთის ბიზნესპარტნიორობა არ არის აკრძალული ამერიკული კანონმდებლობით, ეს მაგალითი გვიჩვენებს იმ ეთიკურ წინააღმდეგობებს, რაც საერთაშორისო ბიზნესისთვისაა დამახასიათებელი.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან დაკავშირებული ეთიკური პრობლემები

უკანასკნელ ნაწილში ჩვენ შევეხებით იმ სოციალურ პრობლემებს, რომლებიც შესაძლოა შექმნილ იქნას მულტიეროვნული კომპანიების მიერ ისეთ ქვეყნებში, რომლებიც ესწრაფვიან კონკურენციული საბაზრო ეკონომიკის ფორმირებას. მაგალითისთვის ავიღოთ პირვატიზაცია, დღევანდელი მსოფლიოს მეტად აქტუალური ტენდენცია, რომელიც განსაკუთრებით დამახასიათებელია ჩინეთის, ლათინური ამერიკის, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის. არც აფრიკა ჩარმორჩება სხვებს ამ მხრივ. მულტიეროვნული კომპანიები პირვატიზაციას განიხილავენ, როგორც არა მხოლოდ შესაძლებლობას შეიძინონ სახელმწიფოს კუთვნილი ფირმები, არამედ საშუალებას ფეხი მოიკიდონ სწრაფი ტემპებით მზარდ ბაზარზე. გარდა ამისა, შრომის დაბალი ანაზღაურება განვითარებად ქვეყნებში მრავალი ტრანსეროვნული ფირმისათვის მეტად მიმზიდველ ფაქტორად იქცა.

მულტიეროვნულ კომპანიებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია იმ სოციალური პრობლემების შესახებ, რაც შეიძლება თან ახლდეს გაზრდილ ეკონომიკურ აქტივობას. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში ლიბერალური საკანონმდებლო ბაზის გამო, ეკონომიკური ზრდის სწრაფ ტემპებს თან სდევს ანალოგიური ტემპებით ჰაერისა და წყლის დაბინძურება. ასეთ სიტუაციაში სწორედ ბუნებრივი გარემოს დაბინძურება შეიძლება იქცეს ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად და კონფლიქტის მიზეზად. წყლის მიწოდებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მსენებლობის ღირებულება აზიის განვითარებად ქვეყნებში 2010 წელს დაახლოებით 100 მილიარდ დოლარს შეადგენდა. დამატებითი 50 მილიარდი იქნება საჭირო აზიურ ქალაქებში ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ საბრძოლველად. როგორც ინდოეთში, ქალაქ დელის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს სასამართლოს დადგენილების შესაბამისად ჰაერის დამაბინძურებელი მცირე საწარმოების დახურვას 2 მილიონი დასაქმებულის განთავისუფლება მოჰყვება. ინდოეთი ყურადღებას ამახვილებს ასევე უცხოური კომპანიების მიერ შექმნილ პრობლემებზე, რომელთა შორისაა „პეპსი“, და „კოკა-კოლა“, რომლებიც ადგილობრივი გარემოს დაცვითი ორგანიზაციების მტკიცებით, ინდოეთის ბაზარზე ყიდიან პესტიციდებით გამდიდრებულ სასმელს. შეიძლება ითქვას, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მსგავსი საქციელი წარმოადგენს ინდოეთის მთავრობისადმი ერთგვარ მოწოდებას, რომელიც ნაკლებ ყურადღებას აქცევს ქვეყანაში არსებული ბუნებრივი გარემოს მასიურ დაბინძურებასა და წყალთან დაკავშირებულ პრობლემებს. მულტიეროვნული კომპანიების წინააღმდეგ მსგავსი პროტესტი ასევე მიზნად ისახავს ინდოელი მოსახლეობის გამოყვანას ინდიფერენტული მდგომარეობიდან.

კიდევ ერთი სოციალური ხასიათის პრობლემა, რომელიც ხშირად დგას ტრანსეროვნული კომპანიების წინაშე არის შიდსის ეპიდემია, რომლის გავრცელების ფართო მასშტაბები მთელს მსოფლიოში ძალიან დიდ, უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკაზე და ხშირ შემთხვევაში იწვევს მის დაღმასვლას. ამ საკითხის უკეთ ილუსტრირებისათვის საუკეთესო მაგალითს ბოტსვანა წარმოადგენს. სამხრეთ აფრიკის ამ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპები საკმაოდ მაღალი იყო 30 წლის განმავლობაში 1990-იან წლებამდე, როდესაც შიდსის ვირუსი აქტიურად გავრცელდა მოსახლეობის ფართო ფენებში. ამ პერიოდამდე კი მონაცემები მართლაც შესაშური იყო – შემოსავალი კაპიტალზე 300 აშშ დოლარიდან 3500 აშშ დოლარამდე გაიზარდა, სკოლაში სწავლა დაიწყო ბავშვების 97%-მა, ადრე არესებული 50%-ის ნაცვლად, მკვეთრად შემცირდა სიკვდილიანობა ახალშობილებს შორის. გასაკვირი არაა, რომ შიდსი განსაკუთრებით დიდ პრობლემებს უქმნის შედარებით ღარიბ ქვეყნებს, რადგან ეკონომიკური ზრდის 30% სწორედ მის წინააღმდეგ ბრძოლას ხმარდება. გარდა ამისა ამ დაავადების მატარებელი დასაქმებულები მაქსიმალურად პროდუქტიულები შეიძლება იყვნენ საშუალოდ 5 წლის განმავლობაში, ბავშვების 20% დიდი ალბათობით დაობლდება, ბევრი დამსაქმებელი უბრალოდ ვერ პოულობს ჯანმრთელ თანამშრომელს, საავადმყოფოებში პაციენტების 75%-ი შიდსით ინფიცირებულია. ადგილობრივი მთავრობის შეფასებით მომავალი 5 წლის განმავლობაში დაახლოებით 500 მილიონი აშშ დოლარი იქნება საჭირო მოსახლეობისათვის შესაბამისი

მკურნალობის გაწვევისა და მედიკამენტებით მომარაგებისათვის, რომელთა უმრავლესობა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში იწარმოება და საკმაოდ ძვირია. ბუნებრივია ფარმაცევტული კომპანიები, განსაკუთრებით კი ამერიკული ფირმები, განიცდიან ზეწოლას რათა შეამცირონ ფასები, თუნდაც უაღრესად ღარიბი ქვეყნებისათვის. სამხრეთ აფრიკას საკმაოდ აგრესიული პოლიტიკა აქვს ასეთ ქმედებებთან დაკავშირებით და ამ ქვეყანამ შემოიღო სანქციები კანონით „პარალელური იმპორტირების“ შესახებ. კანონი ნებას რთავს იმპორტიორებს ყველაზე იაფი მიმწოდებლებისაგან შეიძინონ მედიკამენტები, მიუხედავად იმისა გააჩნიათ თუ არა მათ მედიკამენტის წარმოების პატენტი ან პატენტის მფლობელის ნებართვა. კიბოს და შიდსის საწინააღმდეგო პრეპარატების შესახებ დავა მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის, კანკუნის შეხვედრის დროს, გადაუწყვეტელი დარჩა. მოთხოვნა ამ წამლებზე ძალიან მაღალია, რადგან ბოტსვანის მოსახლეობის თითქმის 36% ინფიცირებულია შიდსით. ამ მაჩვენებლით იგი პირველ ადგილს იკავებს კონტინენტზე, თუმცა არანაკლებ შემაშფოთებელი მაჩვენებლებია სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად სვაზილენდში (25%), ზიმბაბვეში (22%), სამხრეთ აფრიკაში (20%) და ა.შ. სიკვდილიანობისა და ადამიანთა ტანჯვის მაღალი მაჩვენებლებთან ერთად, ამ ქვეყნების ეკონომიკები დიდ პრობლემებს უქმნიან მსოფლიო ეკონომიკას და არსებული რესურსების არაეფექტიან გამოყენებას იწვევენ.

რამდენადაც ირონიულად უნდა ჟღერდეს, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესიც სიღარიბის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბოლო მოხსენების თანახმად, ეკონომიკური ზრდის პროცესი საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ქვეყნებში გარკვეულწილად გვიჩვენებს იმ ფაქტს, რომ ამავედროულად მილიონობით ადამიანი ღარიბდება. მაგალითად, ბოლო წლებში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სახელმწიფოს კუთვნილი საწარმოების პრივატიზაციის შედეგად უამრავმა მომუშავემ დაკარგა სამუშაო ადგილი. ჩეხეთში, უნგრეთსა და პოლონეთში ბაზარზე ახლადგამოჩენილმა მულტიეროვნულმა კომპანიებმა მნიშვნელოვნად შეამცირეს ადრე ამავე საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა, ამის ძირითადი მიზეზი კი იყო ის, რომ კომუნისტური პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო ხელოვნურად გაბერილი კადრები და შესაბამისად არაეფექტიანი წარმოება. საბოლოო ჯამში ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებში მნიშვნელოვნად გაიზარდა უმუშევრობის მაჩვენებელი, რასაც თავის მხრივ სამსახურიდან გათავისუფლებულმა, ადამიანებს შორის უკმაყოფილება და მთელი რიგი სოციალური პრობლემები მოჰყვა. ზოგიერთი ქვეყნის მონაცემები მართლაც გაცხადებს იწვევს – აღმოსავლეთ გერმანიაში უმუშევრობის მაჩვენებელი 17% იყო, მაშინ როდესაც ქვეყნის დასავლეთ ნაწილში ამ მაჩვენებლის ნახევარი. მხოლოდ 1996 წელს ამ ყოფილ კომუნისტურ ქვეყანაში გაუქმდა 200 ათასი სამუშაო ადგილი.

ჩინეთში ათობით მილიონი მომუშავე “უსაქმეობს” სახელმწიფოს კუთვნილ საკმაოდ ადრეულ ასაკშიც კი (10-11 წლის)საწარმოებში და შიშით ელოდება მულტიეროვნული კომპანიების ბაზარზე შემოჭრას. ექსპერტების აზრით, თუ ეს ტენდენცია შენარჩუნდება, როგორც მინიმუმ შესაძლებელია სერიოზული სოციალური პრობლემების მომხდრე ვახდეთ ან პროცესები სრულიად უმართავი გახდეს. იბადება კითხვა – რატომ? საქმე იმაშია, რომ ჩინეთში არ არსებობს სოციალური დაცვის ადეკვატური სისტემა, უმუშევრებისათვის განკუთვნილი კომპენსაცია არ უზრუნველყოფს მათ სოციალურ გარანტიებს. გარდა ამისა, რადგან სამუშაო ადგილების უმრავლესობა დიდ ქალაქებსა თუ სანაპირო რეგიონებშია განთავსებული, სამუშაოს პოვნის იმედით მილიონობით ჩინელი ტოვებს პროვინციებს. შედეგადსოფლად ვღებულობთ გაყოფილ ოჯახებს და დიდ ქალაქებში დანაშაულის მაღალ დონეს.

კიდევ ერთ საფრთხეს წარმოადგენს მულტიეროვნული კომპანიების ან მათი უცხოელი პარტნიორების მიერ მომუშავეთა ე.წ. ექსპლოატაცია. დაბალი ხელფასებისა და უმუშევრობის მაღალი დონის გამო ბევრ განვითარებად ქვეყანაში მოზრდილი ასაკის ადამიანების ხშირად არიან უმუშევრები ან მომუშავეთა ე.წ. ექსპლოატაცია ძალიან დაბალი ანაზღაურების პირობებში. 10-დან ყოველი 9 ადამიანისათვის აფრიკის 24 ქვეყანაში დღიური შემოსავალი 2 დოლარზე ნაკლებია, მაშინ როცა მოსახლეობის 2/3 დღეში 1 დოლარზე ნაკლებს იღებს. შედეგად ბავშვები იწყებენ მუშაობას ადრეულ ასაკში, რათა შეძლონ თავიანთი ოჯახების გამოკვება. 2010 წლის მონაცემებით 15 წლამდე ასაკის 250 მილიონი ბავშვი იყო დასაქმებული განვითარებად ქვეყნებში, მათი დიდი ნაწილი კი მუშაობდა მულტიეროვნული კომპანიების კონტრაქტორ ფირმებში. ცხრილში შევიძლიათ იხილოთ 15 წლამდე ასაკის დასაქმებული ბავშვების პროცენტული მაჩვენებლები სხვადასხვა ქვეყნისათვის.

რატომ ხდება ასე? მოცემულ შეკითხვას მარტივი პასუხები არ გააჩნია. ტრანსკრონულ კომპანიებს განვითარებადი ეკონომიკებისათვის მრავალი სიკეთე მოაქვთ, თუმცა ამავედროულად ისინი შეიძლება გახდნენ სოციალური პრობლემების გამომწვევი მიზეზი, რაც აუცილებლად თან ახლავს საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესს. მაშინ როგორ უნდა მოიქცნენ მულტიეროვნული კომპანიები? როგორც მინიმუმ, უნდა შეეგუონ მოსახლეობაზე ზეგავლენის იმ ნეგატიურ ეფექტებს, რაც ნებისმიერ შემთხვევაში თან სდევს მათ საქმიანობას. ასეთ კომპანიებს შორის არსებობს მყარად ჩამოყალიბებული მოსაზრება, რომ ნებისმიერი სახის დროებითი წინააღმდეგობა აუცილებელი და გარდაუვალია, რადგან წარმოადგენს ეკონომიკური გარდაქმნის განუყოფელ ნაწილს. სამწუხაროდ ისინი ხშირად სათანადოდ ვერ აფასებენ, რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ეს „დროებითი“ დაბრკოლებები.

ყველაფერი ეს უფრო მეტად უსვამს ხაზს მულტიეროვნული კომპანიების მხრიდან ეთიკური ქცევის აუცილებლობასა და მათი სოციალური პასუხისმგებლობის ზრდას. ექსპერტების აზრით, აუცილებელია ასეთი ფირმების მიერ შემუშავებული იქნეს გარემოს დაცვის საკითხებთან მიმართებით მკაცრი პოლიტიკა, გარდა ამისა სასურველია თუ ისინი აამაღლებენ მოსახლეობის ცოდნის დონეს აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში და განახორციელებენ ინვესტიციებს გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირებისა და არსებული დაბინძურების აღმოფხვრის მიზნით.

ასევე ინვესტიციები საზოგადოებრივ სექტორში (სკოლები, საავადმყოფოები, გადაამზადების პროგრამები, დახმარება ფერმერებისთვის) საშუალებას იძლევა შესუსტდეს ეკონომიკურ ცვლილებებთან დაკავშირებული მავნე სოციალური პროცესები. მულტიეროვნული კომპანიები შეიძლება დაეხმარონ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მთავრობებს დასავლეთის ინდუსტრიულ სახელმწიფოების მსგავსი პოლიტიკის შემუშავებაში (როგორცაა მაგალითად უმუშევართა უზრუნველყოფის პროგრამები, ადგილობრივ ბიზნესზე სესხების გაცემა და ა.შ). ერთ-ერთი ასეთი პროგრამა შექმნილი იქნა Hewlett-Packard-ის მიერ და მიუხედავად დღეისათვის ამ კომპანიის არასახარბიელო მდგომარეობისა აღმასრულებელ დირექტორს, კარლ ფიორინას გრძელვადიან პერიოდში უკეთესის იმედი აქვს. პროგრამის სახელწოდებაა „მსოფლიოს ჩართულობა“ და წარმოადგენს ცნობილი ტენდენციის 4B-ის (ბიზნესი 4 მილიარდის სანაცვლოდ – Business to four billion) ნაწილს. მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში კომპანია აპირებს ეტაპობრივი გადახდის პირობით მიყიდოს თავისი ფილიალები (მათ შორის შესაძლებელია 1 მილიარდი გრანტის სახით) ისეთი ქვეყნის მთავრობებს, როგორცაა ბანგლადეში და სენეგალი. ფიორინა იმედოვნებს, რომ ამის შემდეგ მისი კომპანია შეძლებს საკმაოდ ვრცელ ბაზარზე საკუთარი პოზიციის დაკავებას და სხვა საკითხებზე მუშაობასაც. Hewlett-Packard-ის პოტენციური მეწარმეებისათვის ასევე აქვს სპეციალური ფონდები, დაბალი სიმძლავრის აღჭურვილობა და სხვა აუცილებელი დანადგარები. მიუხედავად იმისა, რომ ამ წამოწყებას მრავალი აკრიტიკებს, ფიორინა სულაც არ არის უბრალოდ ქველმოქმედი. „დიდი განსხვავებაა იმას შორის, რომ საქონლისა და მომსახურების სხვადასხვა ტიპების გათვალისწინებით ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით პოტენციური მეწარმეებისათვის შექმნა ახალი ბიზნეს მოდელი და უბრალოდ დიდძალი ფული დახარჯო მაშინ, როდესაც საძირკველი უკვე არსებობს.“ დრო ყველაფერს გვიჩვენებს. მიუხედავად ყველაფრისა, მსგავსი ქმედებებით შესაძლოა შემცირდეს ის პრობლემები, რომლებთანაც ერებს საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესში განვითარებად ქვეყნებს უწევთ შეხება.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოში

ცნობილია, რომ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ზოგადი ცნება, ჩამოყალიბდა რიო დე ჟანეიროში 1992 წელს გამართულ მსოფლიო ბიზნესსამიტზე. ამავედროულად ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის შინაარსი მრავალ ასპექტს მოიცავს და მისი ზუსტი განსაზღვრება არ არსებობს. ყველაზე ზოგადი ფორმით ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, ასახავს კომპანიების კეთილ ნებას წვლილი შეიტანონ საზოგადოების ცხოვრების გაუმჯობესებასა და გარემოს დაცვაში, რის საფუძველზე გაიუმჯობესოს თავისი სოციალური იმიჯი ან სტატუსი მოცემულ ქვეყანაში. კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა

ნებაყოფლობითობითი მოვლენაა, ის სისტემური ხასიათისაა და კომპანიის მისიასა თუ განვითარების სტრატეგიასთან მჭიდრო კავშირში იმყოფება.

თანამედროვე მსოფლიოში შეუძლებელია კომპანიის ნორმალური იმიჯის შექმნა, თუ ის ამ პროცესებში არ იღებს მონაწილეობას. ნელ-ნელა სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელება ხდება ბიზნესის წარმოების ჩვეულებრივი და გავრცელებული ფორმა. სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა პრობლემები და პრიორიტეტებია, რაც ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის სხვადასხვა ფორმებს განაპირობებს. სოციალურ პასუხისმგებლობას სხვადასხვაგვარ ენაში განსხვავებული დატვირთვა გააჩნია. ქართული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე ტერმინი სოციალური პასუხისმგებლობა შესაძლოა უფრო სოციალური პრობლემების გადაჭრისაკენ მიმართულ ინიციატივებად იყოს აღქმული და, შესაბამისად, ძალზე დავიწროვდეს ამ ცნების მნიშვნელობა. როგორც აღნიშნეთ, ჩვენი ქვეყნის კომპანიებისათვის ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა სასტარტო პოზიციებზე იმყოფება. საქართველოში არსებული მსხვილი კომპანიები როგორ მოქმედებენ და ზოგადად რამდენად აქტიურად არიან ჩართული ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პროცესებში გაანალიზდა კომპანია CRDG, მონაცემების საფუძველზე, რომელიც იკვლევს და აქვეყნებს საქართველოს ბიზნეს სტატისტიკას. გამოკითხული რესპონდენტების 85% აღნიშნავს, რომ ბიზნეს სოციალური პასუხისმგებლობა და ქველმოქმედება სხვადასხვა ცნებებია, საინტერესოა მათი აზრი თუ რატომ ემიჯნება ეს ორი ცნება ერთმანეთს. რესპონდენტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ქველმოქმედება ერთჯერადი ხასიათისაა, ხოლო სოციალური პასუხისმგებლობა უწყვეტი პროცესია, ისინი სოციალურ პასუხისმგებლობას მიიჩნევენ, როგორც ვალდებულებას, ხოლო ქველმოქმედება მათ სურვილზეა დამოკიდებული. ასეთი ტენდენცია გარკვეულწილად ასახავს დღესდღეობით საქართველოში ბიზნესის მიმართ სახელმწიფოს მიერ გატარებულ პოლიტიკას. მთვრობა ხშირად ავალდებულებს ბიზნესს წვლილი შეიტანოს გარკვეული სოციალური თუ საზოგადოებრივად სასარგებლო პროექტების განხორციელებაში, რაც, რეალურად, ზღუდავს ქვეყანაში კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების შესაძლებლობას, რადგანაც ბიზნესის საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ მთავარი მოტივატორი სწორედ ნებაყოფლობითობაა. საქართველოს წამყვანი კომპანიების უმაღლესი რგოლის მენეჯერები განსხვავებას ამ ორ ცნებას შორის შემდეგნაირად აყალიბებენ : ქველმოქმედება, ამ მენეჯერთა აზრით, ერთჯერად მოქმედებებს მოიცავს, მდგრად შედეგზე ნაკლებად არის ორიენტირებული და უფრო ზნეობრივი ვალდებულების ფარგლებში ექცევა; ხოლო სოციალური პასუხისმგებლობა ფართო ცნებაა, წინასწარ დაგეგმილ და რეგულარულ საქმიანობას წარმოადგენს, სისტემურ, მდგრად ცვლილებებს ისახავს მიზნად და საზოგადოებაში ბიზნესის როლის და ფუნქციების გააზრებას ეფუძნება. საბოლოოდ ამ ორი ცნების განმასხვავებელი ნიშნები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს :

- სოციალური პასუხისმგებლობა სისტემური, ხოლო ქველმოქმედება არასისტემური ხასიათისაა;
- ქველმოქმედება არის უფრო ერთჯერადი ხასიათის, ხოლო სოციალური პასუხისმგებლობა გრძელვადიანია;
- ქველმოქმედება შეიძლება იყოს ლოკალური ხასიათის, საქმიანობის ერთი ფრაგმენტი, სოციალური პასუხისმგებლობა უფრო ფართო ცნებაა. აქ შედის როგორც ქველმოქმედება ასევე ნორმალური სამუშაო ადგილების შექმნა და თანამშრომლებზე ზრუნვა;
- ქველმოქმედება უანგარო ხასიათისაა, ხოლო სოციალური პასუხისმგებლობა სტრატეგიის ნაწილია და შედეგს ემყარება;
- ქველმოქმედება უფრო კონკრეტული ქმედებების განხორციელებაა ხოლო სოციალურ პასუხისმგებლობას სისტემური მიდგომა ჭირდება და დაგეგმვას მოითხოვს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში მსხვილი ბიზნეს კომპანიები სოციალურ პასუხისმგებლობაში მოიაზრებენ, როგორც ხელისუფლების მიერ კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას.

საინტერესოა საქართველოში არსებული მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლების მისია, და მასში სოციალური პასუხისმგებლობის ასახვის კვლევა. კომპანიის მისია უნდა ასახავდეს არა მხოლოდ უშუალო მოვების მიღების მიზანს, არამედ კომპანიის საზოგადოებრივ როლს და

მნიშვნელობას. საბედნიეროდ ქართველი მსხვილი ბიზნესის ტოპ მენეჯერების დაახლოებით ნახევარი ერთმნიშვნელოვნად აუცილებლად (49%), ხოლო თითქმის ამდენივე (44%) აუცილებლად მიიჩნევს ბიზნესკომპანიისთვის მისიის, მომავლის ხედვისა და გარკვეული ეთიკური ფასეულობების არსებობას. მცირეა იმ მენეჯერთა წილი, რომლებსაც მათი არსებობა კომპანიისთვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვნად ან საერთოდ უმნიშვნელოდ მიაჩნია. საქართველოში ფუნქციონირებადი ადგილობრივი კომპანიების მისია რიგ შემთხვევაში არ ასახავს ისეთ ძირითად ელემენტებს, როგორცაა :

- ა) ორგანიზაციის დანიშნულება; გრძელვადიანი მიზანი და მომავლის ხედვა.
- ბ) ძირითადი საქმიანობა და სპეციფიკური სამუშაო მიდგომა.
- გ) ეთიკური ფასეულობები, ღირებულებები და ა.შ

სრულყოფილი მისია, რომელიც შეიცავს ყველა კომპონენტს, კომპანია CRDG - ის მონაცემებით საქართველოში მხოლოდ 2 კომპანიას გააჩნია. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველოში მსხვილი ბიზნეს კომპანიების მისიის განაცხადები უმეტესწილად არასრულია და მხოლოდ ნაწილობრივ მოიცავს სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტებს. ქვეყანაში მცირეა იმ კომპანიათა რიცხვი, რომლებიც მისიის განაცხადში ახდენენ არა მხოლოდ კეთილი სურვილების, არამედ კომპანიის სოციალური ვალდებულებების ასახვას. ეს ფაქტი, მიგვითითებს შემდეგზე: მიუხედავად იმისა, რომ დღეს ბიზნესკომპანიების მენეჯერთა დიდი ნაწილი გამოხატავს საზოგადოების განვითარებასა და მისი პრობლემების გადაჭრაში საკუთარი ჩართულობის აუცილებლობის სურვილს, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის დარგში მათ არ გააჩნიათ მკაცრად ფორმალიზებული მიდგომები.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ყველა არსებული განმარტება იმ ფაქტს აღიარებს, რომ თანამედროვე მსოფლიოში, იმისათვის რომ წარმატებული ბიზნესი გქონდეს, ადარაა საკმარისი გადასახადების გადახდა, თანამშრომლებისთვის კარგი ხელფასის და აქციონერებისთვის კარგი შემოსავლის უზრუნველყოფა. საზოგადოება ბიზნესისაგან მეტს ელის, კერძოდ, უფრო გლობალურ სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პროცესებზე ზეგავლენის თვალსაზრისით. სოციალური პასუხისმგებლობა ბიზნესის მხრიდან არის რეაქცია ბიზნესის მიმართ საზოგადოების შეცვლილ მოთხოვნებზე და გამოხატავს ბიზნეს კომპანიათა კეთილ ნებას მოახდინონ დადებითი ზეგავლენა საზოგადოებაზე, მისი ცხოვრების გაუმჯობესებაზე. რამდენად არიან საქართველოში მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები ინფორმირებულები სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ. როგორც კვლევიდან ჩანს დაახლოებით მესამედი საერთოდ არ არის ინფორმირებული. ერთი ნაწილი მიიჩნევს რომ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებასთან გადასახადების გადახდასთან, გამჭვირვალე ბიზნეს საქმიანობასთან, სახელმწიფოს წინაშე დაკისრებული გარკვეული ვალდებულებების შესრულებასთან ასოცირდება. ბიზნესმენთა მეორე ნაწილისთვის კი ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა მის ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტთან არის დაკავშირებული, როგორცაა, მაგალითად, პასუხისმგებლობა თანამშრომელთა მიმართ , მოგების ნაწილის სოციალურ სფეროებზე მოხმარება, ქვეყანაში დასაქმების პრობლემის მოგვარება, მოსახლეობაზე ზრუნვა. საბოლოოდ დაკვირვების შედარების შედეგად შეიძლება ითქვას რომ დიდი უმრავლესობა ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტებად მოიაზრებენ როგორც კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას (ლეგალური ბიზნესის წარმოება; გადასახადების გადახდა და შრომის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დაცვა), ასევე კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების მიღმა განხორციელებულ საზოგადოებისთვის სასიკეთო საქმიანობებს და პროგრამებს (სოციალური პროექტების, გარემოსდაცვითი პროგრამების განხორციელება, საქველმოქმედო საქმიანობა).

სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების მნიშვნელობაზე კომპანიის დადებითი იმიჯის ჩამოყალიბებაში, საგანგებოდაა გამახვილებული ყურადღება. CRDG- ის მონაცემებით მენეჯერთა უმრავლესობა 85% ცალსახად ეთანხმება იმ გარემოებას, რომ სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელება მნიშვნელოვანია კომპანიის დადებითი იმიჯის ჩამოყალიბებისთვის. 13% მეტ-ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ფაქტორს და მხოლოდ 2% ფიქრობს, რომ სოციალური პასუხისმგებლობა არანაირ გავლენას არ ახდენს კომპანიის იმიჯზე.

მენეჯერების მიერ საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ხელისშემშლელ ფაქტორებად მიჩნეულია: ქვეყანაში მსგავსი პრაქტიკის და გამოცდილების ნაკლებობა 38%; ხელის შემწყობი კანონმდებლობის არარსებობა 26%, არაჯანსაღი ბიზნეს

გარემო 17%, არასაკმარისი ფინანსები 13%. უფრო დაბალი სიხშირით მიიჩნევენ აგრეთვე რომ ეს არ არის ბიზნესის უშუალო ფუნქცია; საზოგადოების პასიურობა; მთავრობის მხრიდან მითითების არარსებობა; რეალურად რაიმეს შეცვლის შეუძლებლობა; არასაკმარისი პროპაგანდა და ა.შ. განვიხილოთ კიდევ უფრო დაწვრილებით ხელისშემშლელი ფაქტორები, ანუ თითოეული მიმართულებით რა პრობლემები იქმნება :

- გარემოს დაცვის კუთხით კომპანიების უმრავლესობა თავიანთ ინერტიულობას იმით ხსნის რომ ისინი არ ეწევიან ისეთ საქმიანობას რომელიც გარემოს აზიანებს, ანუ დიდი ნაწილი გარემოსდაცვითი საქმიანობის განხორციელებას მხოლოდ იმ კომპანიათა პასუხისმგებლობის ნაწილად მიიჩნევს, რომლებიც თავიანთი საქმიანობით გარემოს ზიანს აყენებს.

- არასაკმარისი ფინანსები. ისინი მიიჩნევენ, რომ გარემოსდაცვითი საქმიანობა განსაკუთრებულად დიდ დანახარჯებს მოითხოვს და ესეც გარემოსდაცვითი მიმართულებით მათი პასიურობის მიზეზია. (ამ შემთხვევაშიც სახეზეა ინფორმირებულობის არასაკმარისი ხარისხი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის განხორციელების შესაძლო ფორმების შესახებ).

- დროის დეფიციტი.
- მოთხოვნის არ არსებობა.
- მთავრობის მხრიდან პასიურობა.

სოციალურ სფეროში ხელის შემშლელ ფაქტორთაგან ყველაზე ხშირად ასახელებენ ფინანსების ნაკლებობას. საინტერესოა რას ფიქრობენ ისინი ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის ხელშეწყობის საკითხზე. როგორც სხვადასხვა გამოკითხვებიდან ჩანს ქართველი მსხვილი ბიზნესის მენეჯერების პასუხი უბრალოდ „არ ვიცი“ აღმოჩნდა. სამწუხაროდ მათი წილი 40%ია. ხოლო ის მენეჯერები რომლებიც არ ახორციელებენ არანაირ ქმედებას ამ მიმართულებით მათ უჭირთ მიზეზის ახსნა. იმ მმართველების უმრავლესობა რომლებსაც საკითხი თეორიულად ესმით ძირითადად აღნიშნავენ რომ ამ მხრივ ყველაზე ნაყოფიერი მათი კომპანიის წარმატებულობაა აგრეთვე შედეგიანად მიიჩნევენ გადასახადების გადახდას, მათ მიერ ხალხის დასაქმებას, პროდუქციის წარმოებას, წარმოებული პროდუქციის ექსპორტს და ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას. ამ მიმართულებით ხელის შემშლელ ფაქტორებად მიიჩნევა ფინანსების სიმცირე. გარკვეული რაოდენობა აცხადებს, რომ მათი კომპანია საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ არის ვალდებული წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის ხელშეწყობაში. ასევე დასახელებულ მიზეზებს შორის არის: 1)ეს სახელმწიფოს პრეროგატივაა; 2)არ იყო ამისი რეალური მოთხოვნა; 3) არ გააჩნიათ შესაბამისი ინფორმაცია ამ საკითხის გარშემო; 3)დროის უქონლობა; 3)სახელმწიფოს მხრიდან პასიურობა; 4) კომპანიიდან ფულის გადინებას და 5) ახლად დაარსებული კომპანია; და ა.შ.

ამრიგად, საქართველოში სოციალური პასუხისმგებლობის ცალკეული მიმართულებით კომპანიათა აქტიურობის ხელის შემშლელი ფაქტორები ტიპურია, და ამ საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს ადგილობრივი მენეჯერებისაგან უფრო სიღრმისეულ გააზრებას.

თავის შეჯამება

ამ თავში განხილული იყო ეთიკულ ღირებულებებთან და კორპორაციათა სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები. ჩვენ შევეხეთ 2 ძირითად წარმოდგენას ეთიკის შესახებ. ერთი მხრივ, უნივერსალიზმს, რომელიც გულისხმობს რომ არსებობს ის ზოგადი ეთიკური ნორმები, რომლებიც მოქმედებენ ყველგან და მრავალი საერთაშორისო კორპორაციის ქცევის კოდექსი სწორედ ამ ნორმებს ეფუძნება. მეორე მხრივ, რელატივიზმი ემხრობა სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული ეთიკური ფასეულობების არსებობას. ცნობილი ანდაზის სიტყვებით რომ ვთქვათ, „რომში იქცევიან ისე, როგორც რომაელები იქცევიან“ (When in Rome, do as the Romans do)

შემდეგ ჩვენ განვიხილეთ ეთიკურ ასპექტში ქვეყანათშორისი განსხვავებები. როგორც გამოკვლევები ადასტურებს, ამერიკელები უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ ამ საკითხებს, ვიდრე მათი მეგობრები ევროპაში, აზიასა და მსოფლიოს უმეტეს ნაწილში. ევროპულ მულტიეროვნულ ორგანიზაციებთან შედარებით, უფრო მეტ ამერიკულ კომპანიას აქვს ჩამოყალიბებული ეთიკის

კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ რეგიონში როგორც დასაშვებ, ასევე არაეთიკურ ქმედებებს.

ჩვენ შევეხეთ სხვადასხვა ქვეყნის მთავრობების არაეთიკურ ქცევას და ფირმების რეაგირებას აღნიშნულზე. ადამიანის უფლებების გათვალისწინებით მივედით დასკვნამდე, რომ არსებობს იმის ზოგადი კანონზომიერება, თუ როგორი საქციელი არის მიუღებელი. ამ ასპექტში ის, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მულტინაციონალური კომპანიები ყველაზე ნაკლებად განსაზღვრულია. მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის დროს, ზოგიერთი კომპანია დარწმუნებული იყო, რომ შეინარჩუნებდა გავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე, მაშინ როდესაც სხვებმა უარი განაცხადეს რასისტული პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვაზე. დოკუმენტურად დასაბუთებული ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების მიუხედავად, წინეთში, მხოლოდ რამდენიმე ტრანსეროვნულმა კომპანიამ გადაწყვიტა ბაზრიდან გამოსვლა, ერთ-ერთი ასეთი იყო „ლევი სტრაუსი“.

ამასთანავე, მულტიეროვნულ კომპანიებს ხშირად უწევთ მექრთამეობასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრა. ბევრ ქვეყანაში ასეთი ქმედებები სავსებით მისაღებია, თუმცა არსებობენ ისეთი ქვეყნებიც, სადაც შესაბამისი კანონები კრძალავს ოფიციალურ პირებზე ქრთამის გადახდას. მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა უკრძალავს თავის მოქალაქეებს საზღვარგარეთის მთავრობების მოქრთამვას, რადგან ეს საერთაშორისო ბიზნესის ერთ-ერთ განუყოფელ ატრიბუტად არის მიჩნეული. კორუფციული გარიგებები ზოგჯერ გამოყენებული იყო ამერიკული კომპანიების მიერაც, თუმცა 1970-იან წლებში სააშკარაოზე გამოტანილმა ფაქტებმა ხელი შეუწყო „საზღვარგარეთ კორუფციის შესახებ აქტის“ მიღებას. ერთი მხრივ ეს კანონი კრძალავს უცხოელებისათვის ქრთამის სახით თანხის მიცემას, ხოლო მეორე მხრივ არ მიიჩნევს კანონსაწინააღმდეგო ქმედებად ისეთ გადახდებს, რომლებიც ოფიციალური პირების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებასთან არის დაკავშირებული.